



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080157850654419

№ 2098

02 / მაისი / 2019 წ.

**შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“-ის თეთრ სიაში რეგისტრაციის
ვადის გაგრძელების შესახებ**


სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 12 აპრილს წარმოდგენილ იქნა შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“-ის (ს/ნ: 217890584) 2019 წლის 12 აპრილის №113 მომართვა (რეგისტრაციის №4092) და 2019 წლის 16 აპრილის №115 დაზუსტებული მომართვა (რეგისტრაციის №4209), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება. შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“-მა 2019 წლის 22 აპრილს წარმოადგინა 2019 წლის 22 აპრილის №123 დაზუსტებული მომართვა (რეგისტრაციის №4420), რომლითაც გამოასწორა მის მომართვაზე სააგენტოს 2019 წლის 18 აპრილის №1531 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვები თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ ისინი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“-ის (ს/ნ: 217890584) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა იწურება 2019 წლის 24 მაისს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“-ს (ს/ნ: 217890584) 2019 წლის 25 მაისიდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად 

ლევან რაზმაძე